



საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი, #99, ტელ: (+995-32) 116 001; ელ.ფოსტა: ncdc@ncdc.ge; ვებ.გვერდი: www.ncdc.ge
99, Kakheti Highway, Tbilisi, 0198, Georgia, Phone: (+995-32) 116 001; E-mail: ncdc@ncdc.ge; Web: www.ncdc.ge

**სსიპ ლ.საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი
ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი**

**„ყაზბეგის მუნიციპალიტეტის და მასში შემავალი თემების სივრცის დაგეგმარების გეგმების
სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიშზე“**

დასკვნა

დამგეგმავი: ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერია

საქმიანობის შემსრულებელი: გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკი“

წარმოდგენილი სტრატეგიული დოკუმენტის სკოპინგის ანგარიში მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სამომავლო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ ასპექტებს და შეფასებას საზოგადოებასთან კომუნიკაციის გზით.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის და მასში შემავალი თემების განაშენიანების განვითარებაში სახელმწიფო, მუნიციპალურ თუ კერძო პირების მიერ დადგენილი ღონისძიებების განხორციელებისთვის უპირველეს საჭიროებას წარმოადგენს, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განაშენიანების გეგმის (გგ) დოკუმენტის მოზადება, რომლის ამოცანაა დასახლების მთელი ტერიტორიის განვითარება, მისი გამოყენებისა და განაშენიანების ზოგადი რეგულირება და სათანადო უზრუნველყოფა.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი ანალიზისა და ზოგადი გეგმარებითი რეკომენდაციების შესაბამისად, მნიშვნელოვანია წინასაპროექტო კვლევით დადგენილი ძირითადი მოცემულობები, რომლის საფუძველზეც მომზადდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის და მასში შემავალი თემების მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის წინასაპროექტო კვლევის დასკვნითი ანგარიში.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ საქართველოს კანონის (შემდომში-კოდექსი) მე-3 თავის შესაბამისად, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარება სავალდებულოა იმ სტრატეგიული დოკუმენტებისთვის, რომლითაც დგინდება სამომავლო განვითარების

ჩარჩო, კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული საქმიანობისთვის, მათ შორის დაგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის დროს, რათა საბოლოო დოკუმენტში გათვალისწინებულ იქნას ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ასპექტები და მინიმუმამდე იქნას შემცირებული გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „ყაზბეგის და მასში შემავალი თემების სივრცის დაგეგმარების გეგმების სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიშის“ საფუძველზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასებისათვის განისაზღვრა ძირითადი პრიორიტეტები (ჰაერის დაბინძურების, სასმელი-წყლის და ადექვატური სანიტარიის, ჯანმრთელი ცხოვრების წესის ხელშეწყობის, დასაქმების, საერთო სარგებლობის მწვანე სარეკრეაციო არეალებზე ხელმისაწვდომობის, რადიაციული უსაფრთხოების, მოსახლეობის დაცვის ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური ფაქტორების ზემოქმედების დონის ჰიგიენური ასპექტები, სამედიცინო სერვისებზე (რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ უკავშირდება გადამდები და არაგადამდები დაავადებების განვითარებას) ხელმისაწვდომობის დონე) და გამოყენებული იქნა ორი ინსტრუმენტი:

1. წარმოდგენილი ინფორმაციის კვლევების/ მტკიცებულებების შეფასება.
2. წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე პრიორიტეტული ზემოქმედების ფაქტორების იდენტიფიცირება და დასკვნის მომზადება.

გარდა ამისა, დასკვნის მოსამზადებლად გამოყენებულ იქნა საქართველოში მოქმედი კანონები, ხელშეკრულებები და კანონქვემდებარე დოკუმენტები, კერძოდ:

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ საქართველოს კანონი;

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი;

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონი;

„გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი;

„გარემოსდაცვითი კოდექსი“ საქართველოს კანონი;

„წყლის შესახებ“ საქართველოს კანონი;

„ნიადაგის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი;

„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი;

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონი;

„დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონი;

„მდინარეთა ნაპირების რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონი;

„ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს კანონი;

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონი;

„სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი;

„საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონი;

კონკორდატი-საქართველოს კონსტიტუციით და სახელმწიფოსა და საქართველოს მართლამადიდებელ ავტოკეფალურ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმება.

„ევროპის დაცული ლანდშაფტების შესახებ“ კონვენცია

„ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის“ კონვენცია

„ტრანსსაზღვრო წყლებისა და საერთაშორისო ტბების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ კონვენცია;

ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგია (საქართველოს მთავრობის N 164 დადგენილება, 2014.14.02);
 „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N 260 დადგენილება;
 „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N 261 დადგენილება;
 „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიებების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 ივნისის N 400 დადგენილება;
 „მცხეთა-მთიანეთის რეგიონის განვითარების 2015-2021 წლების სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის N 1285 დადგენილება;
 UNITED NATIONS ECONOMIC COMMISSION FOR EUROPE (UNE CE). Resource Manual to Support Application of the Protocol on Strategic Environmental Assessment. UNITED NATIONS. New York and Geneva, 2012;
 GUIDELINES ON PRACTICAL APPLICATION OF STRATEGIC ENVIRONMENTAL ASSESSMENT IN GEORGIA. OECD, UNEP, UNECE and UNIDO. 2016;
 NHS. London Healthy Urban Development Unit. Rapid Health Impact Assessment Matrix. 2017;
 ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის სახელმძღვანელო დოკუმენტები <https://www.who.int/hia/en/>
 ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად შემუშავებული სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, ტექნიკური რეგლამენტები, სხვადასხვა სექტორალური სტრატეგიები და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაციები.

წარმოდგენილი ინფორმაციის კვლევების/მტკიცებულებების შეფასება

განსახილველად წარმოდგენილი ყაზბეგის მუნიციპალიტეტის და მასში შემავალი თემების სივრცის დაგეგმარების გეგმების სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიშის (რომელიც მოიცავს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმის კონცეფციის პროექტს და დაბა სტეფანწმინდის განაშენიანების გეგმის კონცეფციის პროექტს) პრიორიტეტების შესაბამისად, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ბუნებრივი გარემოს, ადამიანის ჯანმრთელობის და ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვა, მოსახლეობისათვის განვითარების თანაბარი პირობების შექმნა, მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენისა და დაცვის მაქსიმალური აქტუალიზაცია და ქალაქთმშენებლობითი ინტერპრეტაცია, საკვლევ არეალში ძირითადი „ცხელი წერტილებისა“ და პრობლემების გამოვლენა, მათ მიმართ არქიტექტურული-გეგმარებითი თუ ადმინისტრაციული ღონისძიებების დასახვა, საზოგადოების ინტერესების უზრუნველყოფა, სამომავლო საინვესტიციო პროგრამების შემუშავებისათვის საფუძვლების შექმნა და სხვ. რაც თავის მხრივ ადრეულ ეტაპზე განსაზღვრავს და ხელს შეუწყობს საკვლევ ტერიტორიაზე რეალურად მნიშვნელოვან პრიორიტეტულ საკითხებზე ორიენტირებას, რესურსების ეფექტურად გამოყენებას და საფუძვლად დაედება ყაზბეგის მუნიციპალიტეტის

და მასში შემავალი თემების ეკონომიკური განვითარების ნებისმიერი სახის გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების ადრეულ ეტაპზე პრევენციას და ჯანმრთელობის ხელშეწყობის¹ პოლიტიკის განხორციელებას.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის და მასში შემავალი თემების სივრცის დაგეგმარების გეგმების სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიშში ადამიანთა ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების განხორციელება გავლენას მოახდებს იმ ფაქტორებზე, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე. ეს ფაქტორებია:

- ჯანსაღი ცხოვრების წესი (მოსახლეობის სიმჭიდროვე, საზოგადოებრივი ობიექტების ადეკვატურობა (სკოლამდელი აღზრდა, განათლება, ჯანმრთელობა, უსაფრთხოება, ფეხით სიარული, ველოსიპედები, გამწვანებული ტერიტორიები);
- სოციალური დაცულობა (უსაფრთხო საცალფეხო გადასასვლელი, დაბალი მოძრაობის სიჩქარე საცხოვრებელ ადგილების მიდებარედ, ხმაურის შემცირება, ქუჩის განათება, ბიზნეს შესაძლებლობები);
- საცხოვრებლის ხარისხი (გარემო, სამშენებლო მასალები, საცხოვრებლის განლაგება, სივრცის ადეკვატურობა, შენობების ორიენტაცია მზის პირდაპირი სხივების შესაბამისად და ა.შ.)
- სამუშაო და განათლება (სამუშაო ადგილების და განათლების ხელმისაწვდომობა და ხელმისაწვდომობა), საზოგადოებრივი სერვისების (სკოლამდელი აღზრდის, განათლების, ჯანმრთელობის, უსაფრთხოების) და საყოფაცხოვრებო მომსახურების (ბანკები, მაღაზიები, აფთიაქები, საპარკმახერროები და ა.შ.) ხელმისაწვდომობა და წვდომა.
- უსაფრთხოება (სათვალთვალო კამერების დაყენება, საცალფეხო და საფეხმავლო ბილიკების პასიური დაკვირვება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის პოპულარიზაცია, ტერიტორიების დასუფთავება)
- სოციალური სამართლიანობა (განსაკუთრებული ყურადღება გარემოს დაბინძურების მქონე ტერიტორიებზე, სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა, ქუჩის განათების გაუმჯობესება, წვდომის გაუმჯობესება და ა.შ.)
- ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება და ზოგადი სურათი (ჰაერის დაბინძურების წყაროებში, ე.ი. საგზაო ტრანსპორტი, მწვანე ტერიტორიების განვითარება, ხმაურის შემცირების ღონისძიებების განხორციელება)
- წყლის მოხმარება და ჩამდინარე წყლების შეგროვება (წყალმომარაგებისა და კანალიზაციის შეგროვების სისტემების დაგეგმვა, წყლის მოხმარების შეზღუდვა იმ ადგილებში, სადაც არ არის ჩამდინარე წყლების შეგროვების შესაძლებლობა)
- ნიადაგის ხარისხი (დაბინძურების გაწმენდა, მწვანე ტერიტორიების შენარჩუნება) და სხვა.

წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშს თან არ ახლავს ინფორმაცია საჯარო განხილვების შესახებ და შესაბამისი ოქმი. „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილების (მუხლი 17) მიხედვით, სივრცის დაგეგმარების გეგმის/ქალაქთმშენებლობითი გეგმის კონცეფციის/პროექტის განხილვის ეტაპზე საჯარო

¹ ჯანმრთელობის ხელშეწყობა, არის მიდგომა, ხელს უწყობს გაზრდილი სიკვდილიანობის შემცირებას, წამყვანი რისკ ფაქტორებისა და ჯანმრთელობის დეტერმინანტების პრობლემის გადაჭრას, ჯანდაცვის მდგრადი სისტემების გაძლიერებას და კრიტიკულ როლს თამაშობს როგორც გადამდები და ასევე არაგადამდები დაავადებების პრევენციისა და კონტროლის გამოსავლის გაუმჯობესებაში.

განხილვის ჩატარება სავალდებულოა, გამონაკლისის სახით განიხილება "საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N 181 დადგენილების მე -13 მუხლის მე -5 პუნქტით დადგენილი განსხვავებული წესი, რომლის თანახმად, ამ დადგენილების მოქმედების პერიოდში ამ კოდექსით დადგენილი საჯარო განხილვები ვერ ჩატარდებოდა (თუ ამ პერიოდს დაემთხვეოდა), მაგრამ ადმინისტრაციულ წარმოებაში საზოგადოების მონაწილეობა და მის მიერ მოსაზრებებისა და შენიშვნების წარდგენის შესაძლებლობა უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო წერილობით ან/და ელექტრონული საშუალებით, კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.

ასევე, სივრცის დაგეგმარების გეგმების სავარაუდო შემაღვენლობის შესაბამისად არ არის წარმოდგენილი დეტალური ინფორმაცია:

ეკოლოგია (ხარისხობრივი მდგომარების გაზომვების/შეფასებების შედეგები-ჰაერი, ნიადაგი, წყალი, რადიაციული და ელექტრომაგნიტური გამოსხივება)

- „ცხელი წერტილები“;
- ინსოლაცია;
- ქართა რეჟიმები;
- საცხოვრისი და კომუნალური მეურნეობა;
- კურორტები და საკურორტო ადგილები;
- ტურიზმი და სასპორტო-სარეკრეაციო ტერიტორიები;
- გეგმარებითი შეზღუდვები;
- სარეზერვო ტერიტორიები;

„ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად, მნიშვნელოვანია ტერიტორიის განაშენიანების დროს სხვადასხვა ინტენსივობის მქონე საცხოვრებელ ზონებში გათვალისწინებულია თუ არა სარეკრეაციო სივრცეები, ჯანდაცვის და სპორტის ობიექტები, სკოლამდელი და სასკოლო აღზრდის დაწესებულებები, ხომ არ არის დარღვეული შესაბამისი ზონირების პრინციპი და განთავსებულია ობიექტი, რომელიც ზიანს აყენებს გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობას, ან/და განთავსებულია სამეწარმეო ობიექტი, რომელიც არღვევს სამეზობლო თმენის პრინციპებს. გასათვალისწინებელია, რომ წლების მანძილზე არაერთი ფაქტობრივი მასალა დაგროვდა, რომელიც მოწმობს მართებულად დაგეგმილი საერთო სარგებლობის ხელოვნური სარეკრეაციო ზონების და გამწვანების შემთხვევებში, მოქალაქეებს სრულყოფილად შეუძლიათ ისარგებლონ სპორტული და გამაჯანსაღებელი ობიექტების ქსელის შესაძლებლობებით, შესაბამისად დაცულნი იქნენ სატრანსპორტო, საყოფაცხოვრებო და სარეკრეაციო სივრცესთან არსებული საფრთხეებისგან.

ანგარიშის გვ. 49. სტრატეგიული ამოცანები და ქმედებები-არ არის პრიორიტეტი კურორტები და საკურორტო ადგილების განვითარება, კერძოდ მინერალური წყლების ინდუსტრიის მართვა. კურორტებისა და საკურორტო ადგილების განვითარებას უდიდესი როლი ენიჭება ყაზბეგის მუნიციპალიტეტის და თემების საკურორტო ადგილები, როგორც ბუნებრივი სამკურნალო რესურსის, დიდ როლს შეასრულებს რეგიონის ეკონომიკისა და მდგრად განვითარებაში. ყაზბეგის რაიონის ადგილმდებარეობიდან და რეგიონში არსებული ტურისტული ობიექტების სიმრავლიდან გამომდინარე, სამკურნალო ტურიზმის დროული განვითარება ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას და მიმდებარე სოფლების მეურნეობის განვითარებას. წარმოდგენილი ინფორმაცია არასრულია და

აღწერილია მხოლოდ ანგარიშის გვერდი 110 . მდინარე თერგის მეორე, მარცხენა ნაპირზე სადაც თერმული წყლის წყაროები და აუზია, განსაზღვრულია საკურორტო-სარეკრეაციო ზონა. მის სამხრეთ ნაწილში მოიაზრება სპა და სარეკრეაციო დანიშნულების დასასვენებელი ობიექტები, ხოლო ჩრდილოეთ ნაწილში სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება. ასევე, გვერდი 120, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 22 ივლისის დადგენილებით, დაბა სტეფანწმინდას მიენიჭა კურორტის სტატუსი. ეს სტატუსი ავალდებულებს სანიტარული დაცვითი ზონების შემოღებას. კურორტის სტატუსი დაბამ დაიმსახურა კლიმატური სამკურნალო ხასიათის პულმონოლოგიური, გასტროენტეროლოგიური და პრევენციული ჯანდაცვის თვისებებისთვის. სტეფანწმინდის ცენტრიდან 2 კმ მოშორებით, მდინარე თერგის მარცხენა სანაპიროზე, სოფელ ფანშეტთან მდებარეობს ბუნებრივი მინერალური წყლის წყაროები. წყალს გააჩნია ქლორიდ-ჰიდროკარბონატული და კალციუმ-სოდიუმის ტიპი ზოგადი მინერალიზაციით 1.5-2 გ/დმ³. ამ ტერიტორიაზე განსაზღვრულია სპა-გამაჯანსაღებელი და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკურორტო ადგილების და მინერალური წყლის საბადოების შესწავლის შემდეგ, მათი ტერიტორიის ფუნქციურ გადანაწილებამდე, უპირველესად, უნდა დადგინდეს მინერალური, ბუნებრივი სამკურნალო რესურსების დაცვის მიზნით სანიტარული დაცვის ზონები, რომელიც განისაზღვრება „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარული დაცვის ზონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. საერთოდ ნახსენები არ არის ყაზბეგის რაიონში თრუსოს ხეობის უნიკალური მინერალური წყლებისა და ნახშირმჟავა აირების შესახებ, რომელიც ყველაზე დიდი მარაგებით გამოირჩევა. <http://www.kazbegi.gov.ge/ge/bunebrivi-resursebi>

- ასევე არ არის ინფორმაცია წარმოდგენილი სამედიცინო დაწესებულებებზე და ჯანდაცვის ობიექტებზე, როგორც სტეფანწმინდის, ასევე თემების მიხედვით.

სკოპინგის დასკვნისთვის და ასევე შემდგომში გასაცემი რეკომენდაციებისათვის შემუშავდა სპეციალური მატრიცა (დანართი 1.) შემდეგი კომპონენტების მიხედვით:

1. მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება, სოციალური სერვისები, დასაქმება

1.1 სამედიცინო მომსახურება

მნიშვნელოვანია გაანალიზდეს რაოდენობა და ხელმისაწვდომობა ამბულატორიულ და სტაციონარულ დაწესებულებებსა და სასწავლო სამედიცინო მომსახურებაზე ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, როგორია თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა, რათა დროულად და ხარისხიანად მოხდეს სამედიცინო დახმარების გაწევა, როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ასევე ტურისტებისათვის.

1.2 სოციალური სერვისები

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ყველა ძირითადი აქტივობა და სოციალურ-კულტურული ინფრასტრუქტურის ობიექტები თავმოყრილია დაბა სტეფანწმინდაში, მათ შორის საკრებულო და გამგეობა, დაბა სტეფანწმინდაში ფუნქციონირების იუსტუციის სახლი, ლიბერთი ბანკის ფილიალი, ნოტარიუსი, საქართველოს ფოსტის განყოფილება, სასამართლოს წარმომადგენლობა და პოლიციის განყოფილება. ტურისტებს ემსახურება, როგორც რამდენიმე მაღალი დონის სასტუმრო, ასევე მცირე და საშუალო კლასის (მათ შორის საოჯახო) სასტუმროები. ამასთან, კვების ობიექტები (კაფე, რესტორნები, ბარი და სხვა), სასურსათო მაღაზიები და ჯიხურები.

მიუხედავად აღნიშნული სოციალური სერვისების არსებობისა, სოფლის მაცხოვრებელთათვის გართულებულია სოციალური ინფრასტრუქტურის სერვისებით სარგებლობა, რადგან მოუგვარებელია შიდა ტრანსპორტის პრობლემა (ყაზბეგის

მუნიციპალიტეტის და მასში შემავალი თემების სივრცით-ტერიტორიული დადგენილების საბაზისო მატრიცა 2.3) . კარგად განვითარებული სოციალური ინფრასტრუქტურა ჯანმრთელობის ხელშემწყობი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ახალგაზრდეს ხშირ შემთხვევაში არ აქვთ წვდომა სპორტულ თუ კულტურულ ინფრასტრუქტურასთან, მომსახურებასთან გართულებული წვდომა კი საზოგადოების გაუცხოების არსებითი ფაქტორია და უკავშირდება ჯანმრთელობის პრობლემებს.

აქედან გამომდინარე, რეკომენდირებულია მუნიციპალიტეტის შიდა ტრანსპორტის პრობლემის მოგვარება და საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილების გაუმჯობესება.

1.3 დასაქმება

წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტში არ არის შეფასებული ყაზბეგში დასაქმების საკითხი. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, უმუშევრობა ასოცირებულია ავადობის რისკის გაორმაგებასთან და 60%-ით ნაკლებია გამოჯანმრთელების ალბათობა. უმუშევრობა ძლიერ კორელაციაშია თამბაქოს, ალკოჰოლის ჭარბ მოხმარების, დვიძლის ციროზის, წყლულოვან დაავადებებთან, ფსიქიკურ დარღვევებთან და ხელს უწყობს სუიციდის შემთხვევების ზრდას. დასაქმების აქტიური პოლიტიკა და მიზანმიმართული სოციალური დაცვის სისტემა ამცირებს უმუშევრობის გვერდით ეფექტებს.

მიზანშეწონილია ხედვაში წარმოდგენილი იყოს მოსაზრებები ყაზბეგის მუნიციპალიტეტის და თემების ფუნქციური დატვირთვების გადანაწილების მიზნით, მათ შორის, ტურისტული სფეროს მომსახურებისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მცხოვრებთათვის დასაქმების ადგილების მოწყობის, ახლომდებარე დასახლებული ადგილების განვითარებასთან დაკავშირებით.

2. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო დაწესებულებები

წარმოდგენილ დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის მიხედვით, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს შემდეგი საგანმანათლებლო დაწესებულებები:

ადრეული და სკოლამდელი აღზრდის და განათლების 7 დაწესებულება, რომელშიც 190 აღსაზრდელია, დასაქმებულია 33 აღმზრდელ-პედაგოგი, 8 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება (მათ შორის ერთი კერძო), რომელშიც 536 მოსწავლე სწავლობს, დასაქმებულია 131 პედაგოგი. დაბა გუდაურშია სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა, სადაც 30 სტუდენტი სწავლობს და დასაქმებულია 14 პედაგოგი. ამასთანავე, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სახელოვნებო, საგანმანათლებლო და მოხალისეობრივი აქტივობები და ღონისძიებები; ფუნქციონირებს არაფორმალური განათლების წრეები სხვადასხვა მიმართულებებით (წიგნიერება, მათემატიკა და კულტურა-ხელოვნება).

მნიშვნელოვანია, ტერიტორიის განაშენიანების დროს სხვადასხვა ინტენსივობის მქონე საცხოვრებელ ზონებში, გათვალისწინებულია თუ არა სარეკრეაციო სივრცეები, ჯანდაცვის და სპორტის ობიექტები, სკოლამდელი და სასკოლო აღზრდის დაწესებულებები, ხომ არ არის დარღვეული შესაბამისი ზონირების პრინციპი;

ზემოაღნიშნულის უფრო მეტად დეტალური შეფასება, რომელიც არ არის წარმოდგენილი, საშუალებას მოგვცემდა გავაანალიზოთ, როგორია ხელმისაწვდომობა:

- საერთო სარგებლობის მწვანე სარეკრეაციო არეალებზე;
- ადრეული და სკოლამდელი აღზრდის და განათლების და სასკოლო აღზრდის დაწესებულებებში არსებულ მდგომარეობაზე და შესაბამისობა მოქმედ ნორმატიულ დოკუმენტების მოთხოვნებთან, ნაკვეთებისა და ღია სპორტული მოედნების შესახებ, რა საჭიროებები გამოიკვეთა და უბნებში არსებული ტერიტორიული რესურსი,

როგორც არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდის და განათლების და სასკოლო აღზრდის დაწესებულებების გაფართოებისათვის, ასევე ახლის შექმნისათვის.

- საუბარი არ არის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულების არსებობის ან შემდგომში მისი გახსნის შესახებ, რომელიც ხელს შეუწყობს ადგილზე ახალგაზრდების (და არა მარტო) პროფესიული განათლების და ცალკეული პროფესიების დაუფლების ხელმისაწვდომობის გაზრდას, რაც გაზრდის დასაქმების ხელშეწყობას და ასევე, ადგილზე ახალგაზრდა თაობის დამაგრების საკითხს.

3. ფიზიკური გარემოს რისკ-ფაქტორები (წყალი, ჰაერი, ნიადაგი, ხმაური, ქიმიური და რადიაციული უსაფრთხოება, ნარჩენები)

3.1 წყალმომარაგება და სანიტარია

წარმოდგენილ პროექტს უნდა დაემატოს ინფორმაცია მოსახლეობის წყალმომარაგების შესახებ (წყალმომარაგების ტიპები, სასმელი წყლის ხარისხი, უწყვეტობა, ხელმისაწვდომობა, სასმელი წყლის დაბინძურება, მონიტორინგი და სხვა), მისი გაფართოების შესაძლებლობა განაშენიანება/განვითარების ახალ ტერიტორიებზე შესაძლო სამივე ალტერნატივების წარმოდგენით. აუცილებელია შეირჩეს ყველაზე რელევანტური ღონისძიებები წყალმომარაგებისა და სანიტარიის გასაუმჯობესებლად გრძელვადიან პერსპერტივაში (ცენტრალური საკანალიზაციო სისტემის და გამწმენდი ნაგებობების მოწყობის შესახებაც, რომელიც ტერიტორიის ფუნქციური ზონირების დროს საკმარისად დიდ ფართობს მოითხოვს.

3.2 ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება

ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობის შეფასებას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ადამიანის ჯანმრთელობისთვის, ასევე, ბიოლოგიური მრავალფეროვნებისთვის. წარმოდგენილ პროექტში ჰაერის ხარისხის შესახებ მონაცემები არ არის ასახული და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების დეტალური ანალიზის განხორციელება ვერ მოხდება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე წარმოებს როგორც სტაციონარული ჰაერის დამაბინძურებელთა მონიტორინგი, ასევე ჰაერის ინდიკატორული გაზომვები სხვადასხვა ტერიტორიებზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ყაზბეგის მუნიციპალიტეტის და მასში შემავალი თემების ტერიტორიაზე დაიგეგმოს ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობის მონიტორინგი და შემდგომ ანგარიშში აისახოს მონიტორინგის მონაცემები კონკრეტულ დაბინძურებლებზე.

აღსანიშნავია, რომ ს. ზემო ყანოთთან ანდეზიტის ქვის დამამუშავებელი საამქროა, სადაც პერიოდულად ქანებსაც აფეთქებენ. საამქრო ხმაურის ლოკალურ წყაროს წარმოადგენს, თუმცა შესაძლებელია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროც იყოს და სათანადო გაზომვების ჩატარების შემთხვევაში, ნათელი სურათი შეიქმნებოდა თუ როგორია ჰაერში მტვრის მყარი ნაწილაკების (PM10, PM2,5) კონცენტრაცია და რამდენად შესაძლებელია ზეგავლენა იქონიოს სოფლის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე.

ანგარიშის თანახმად, მთლიანად ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჰაერის მდგომარეობა კარგია. თუმცა, პროექტში შემოთავაზებული განვითარების ხედვების განხორციელებამ შესაძლოა გამოიწვიოს ატმოსფერულ ჰაერში ემისიების და ხმაურის გავრცელება, რაც საჭიროებს განვითარების პროექტში მონიტორინგის მონაცემების არსებობას და გაანალიზებას.

ქვეყნის მასშტაბით, მათ შორის ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მნიშვნელოვან წყაროდ გვევლინება არსებული შიდა წვის ძრავიანი ავტოტრანსპორტი, საიდანაც უმეტესი გაუმართავია. სტეფანწმინდისთვის

ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ტრანს-კავკასიური ავტომაგისტრალი, რომელიც ჰაერის დაბინძურების მთავარი წყაროა მიმდებარე ტერიტორიაზე. ამ გზით სარგებლობენ ტურისტები და ვიზიტორები, იგი აგრეთვე საკმაოდ დატვირთულია დიდ გაბარიტიანი სატვირთო ავტომობილებით. ძალზედ დატვირთული გზა არასახარბიელო გარემოებას ქმნის როგორც ადგილობრივი მაცხოვრებლების ყოველდღიური ცხოვრების ხარისხის მხრივ, რადგან ხმაური, გამონაბოლქვი და გადატვირთვა ნეგატიურად აისახება დაბასა და გარემოზე. შესაბამისად, პროექტის დადებით მხარეზე მიუთითებს პირველი ალტერნატივით გათვალისწინებული ღონისძიება: საერთაშორისო გზის მდინარე თერგის მეორე, მარცხენა ნაპირზე გადატანა სტეფანწმინდის მონაკვეთში. ეს დაბა სტეფანწმინდას მოაცილებს სატრანზიტო ნაკადებს და საშუალებას მისცემს დაბის ცენტრალურ ნაწილში გზა გადაიქცეს ურბანული ტიპის სივრცედ, სადაც მოეწყობა ქალაქური ტიპის ხეივანი ფეხით მოსიარულეთა ზონებით, შეიზღუდება ავტომობილების სიჩქარე და

მათი გაბარიტები, რაც გააუმჯობესებს ეკოლოგიურ მდგომარეობას გამონაბოლქვის, მტვერის და ხმაურის თვალსაზრისით და საფუძველი გახდება ქალაქში ეკო-მეგობრული გარემოს დამკვიდრების. პირველ ალტერნატივაში მოცემულია შემოვლით საავტომობილო მაგისტრალის კონცეფციაში წარმოდგენილი ორი ვერსია. მაგისტრალის ის ვარიანტი, რომელიც სოფელ ალმასიანის შემდეგ კვეთს მდინარე თერგს და ექცევა მის მარცხენა სანაპიროზე, და მეორე, შემუშავებული ვარიანტი ავტომაგისტრალისათვის ალტერნატიული ღერძი დაბის საზღვრების ფარგლებში, რომელიც მდინარე თერგს გადაკვეთს უშუალოდ დაბა სტეფანწმინდაში შესვლამდე. ამგვარად იგი დარჩება კავშირში ლოგისტიკურ ჰაბთან და ასცდება სოფელ ფანშეტსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონას, რომელსაც მხოლოდ ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან ჩაუვლის ახლოს და დატოვებს მასთან კავშირის შესაძლებლობას (ეს საკითხი უფრო ფართომასშტაბით უნდა იქნეს განხილული ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმის ფარგლებში). ადგილობრივი მოსახლეობის, ტურისტებისა და ვიზიტორების ჯანმრთელობისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება საკურორტო ადგილის განვითარებას და სარეკრეაციო დანიშნულების დასასვენებელი ობიექტების გაფართოებას.

წარმოდგენილ პროექტში არ არის გაანალიზებული რა ტიპის საწვავი გამოიყენება შინამეურნეობებში საკვების მომზადებისა და გათბობის მიზნით, რადგანაც საქართველოში მაღალია შენობისშიდა ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელი. შინამეურნეობებში საკვების მომზადებისა და გათბობის მიზნით მყარი საწვავის გამოყენებით გამოწვეული ექსპოზიციის მაღალი დონე, ერთ-ერთ უმთავრეს რისკფაქტორს წარმოადგენს ჯანმრთელობისათვის, განსაკუთრებით ბავშვებისა და ქალებისათვის.

ზემოაშნიშნული საკითხი გათვალისწინებული უნდა იყოს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის და მასში შემავალი თემების გაზომომარაგების ინფრასტრუქტურის განვითარება/დაგეგმვისას. ამასთან, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს წინააღმდეგ ბრძოლის ჩარჩო კონვენციით განსაზღვრული პრინციპების ამოქმედება, როგორც შენობის შიგნით, ასევე - გარეთ თამბაქოსაგან თავისუფალი ადგილების შექმნის შესახებ.

მიზანშეწონილია დაიგეგმოს სამომავლოდ ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობის მონიტორინგი და ანგარიშში აისახოს გაზომვების შედეგად მიღებული მონაცემები შემდეგ დამაბინძურებლებზე: (მყარი ნაწილაკები - PM10, PM2.5, აზოტის ჟანგულები, მიწისპირა ოზონი, გოგირდის დიოქსიდი). ასევე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია „მწვანე ქალაქის“ და ენერგოეფექტურობის პრინციპების დანერგვა საბინაო სექტორში და

სხვა შენობა ნაგებობების მშენებლობის პროცესში ისევე როგორც მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტისათვის განისაზღვროს ატმოსფერული ჰაერის გაუმჯობესების ღონისძიებები, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის და მასში შემავალი თემების სივრცის დაგეგმარების ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმის ამოქმედების მონიტორინგის ინდიკატორები.

3.3 ხმაური

წარმოდგენილ პროექტში ხმაურის ძირითადი და გამოკვეთილი წყარო ტრანს-კავკასიური მაგისტრალია. ამ ხრივ გამოირჩევა გუდაურის მონაკვეთი, სოფელი სალმასიანი, სოფელ ფანშეტის მონაკვეთი, სოფელ ფანშეტის TIR პარკის ტერიტორია, დაბა ყაზბეგი, გერგეთის სამებისკენ მომავალი სერპანტინი, ლარსის საბაჟო გამშვები პუნქტი. ხმაურის ლოკალური წყაროა სოფ. ზემო ყანობთან ანდეზიტის ქვის დამამზადებელი საამქრო, სადაც პერიოდულად ქანებსაც აფეთქებენ. ტურისტულად აქტიური ტერიტორიები ასევე მოჭარბებული ხმაურით გამოირჩევა.

დაბა სტეფანწმინდის ქალაქთმშენებლობის დოკუმენტში (განაშენიანების გეგმა) საუბარია საერთაშორისო გზის მდინარე თერგის მეორე, მარცხენა ნაპირზე გადატანაზე სტეფანწმინდის მონაკვეთში, რაც ვფიქრობთ დადებითად აისახება ადგილობრივი მაცხოვრებლების ყოველდღიური ცხოვრების ხარისხზე და ასევე სტეფანწმინდაში ტურიზმის განვითარებაზე, რადგან ხმაური მოქმედებს ადამიანის მთელ ორგანიზმზე და სპეციფიკური დაზიანების გარდა, შეიძლება გამოიწვიოს ზოგადი ხასიათის ცვლილებებიც. დასახლებული პუნქტის სელიტებულ ზონასა და საცხოვრებელ სათავსებში ხმაურის დასაშვებ დონედ ითვლება ხმაურის ისეთი სიდიდე, რომელიც არ იწვევს ადამიანზე პირდაპირ ან ირიბ უარყოფით მოქმედებას, არ აქვეითებს მისი მუშაობის უნარს, არ მოქმედებს უარყოფითად მის თვითგრძნობასა და განწყობაზე, არ იწვევს ხმაურის მიმართ მგრძობიარე სისტემის ფუნქციური სისტემის არსებით ცვლილებას.

სავარაუდოა, რომ ტურისტული ნაკადის მომატება, დასახლებულ ზონაში სასტუმროების, რესტორნების, კაფეების და სხვა სამასპინძლო დაწესებულებების ფუნქციონირება გამოწვევს ხმაურის არასასურველ ზეგავლენას. ხმაურის დონის შესწავლის შემდეგ მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ხმაურის არასასურველი გავლენის შემცირებისათვის უნდა დაიგეგმოს ან გამოიყენებულ იქნას:

- ხმაურის წყაროს საიჟინრო-ტექნიკური და ორგანიზაციულ ადმინისტრაციული ღონისძიებები.
- ხმაურისგან დაცვის ობიექტზე-შენობის კონსტრუქციების ხმაურსაიზოლაციო თვისებების გაზრდის კონსტრუქციულ-სამშენებლო მეთოდები და გეგმარებითი მეთოდები.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჩატარდეს ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ხმაურის დონის გაზომვა, შეფასება და დაიგეგმოს შემცირების ღონისძიებები საქართველოს მთავრობის 2017 წლის N 398 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი- „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ” შესაბამისად.

3.4 ელექტრომაგნიტური ველის გამოსხივება

წარმოდგენილ პროექტში არ არის შეფასებული მაღალი ძაბვის ელექტრო გადამცემი ხაზებით განპირობებული ელექტრომაგნიტური გამოსხივება, რომელიც უნდა შეფასდეს სამომავლოდ და არსებობის შემთხვევაში დაიგეგმოს სათანადო ღონისძიებები ადამიანთა ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შესამცირებლად.

3.5 ინფორმაცია რადიაციული ფონის და რადიოაქტიური ობიექტების შესახებ

აღნიშნულ დოკუმენტში არ არის მოცემული საბაზისო ინფორმაცია რადიაციული ფონის და რადიაციული ობიექტების შესახებ, შესაბამისად, ვერ განხორციელდება შეფასება ქალაქდაგეგმარების და განაშენიანების განვითარების შემთხვევაში საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში ადამიანის და გარემო ჯანმრთელობაზე ზემოქმედების რისკები და ეფექტები.

დაბა სტეფანწმინდისა და მისი მიმდებარე დასახლებების, ასევე, ტურისტულ-ატრაქციულ სივრცეებად ზონირებული არეალების განვითარების კონცეფციები, რა თქმა უნდა, მოითხოვს მაღალი ძაბვის კავშირგაბმულობის და ელექტროგადამცემი სადგურების დამონტაჟებას ადგილობრივებისა და ვიზიტორების კომუნიკაციის გასაუმჯობესებლად და შესაბამისად, საჭირო გახდება სიტუაციის გაანალიზება გარემოს რადიაციული მაჩვენებლების შეფარდებითი შეფასების შესახებ მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და მიღებული შედეგების გაანალიზება ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს მიერ რეკომენდებული და საქართველოს კანონმდებლობით (საქართველოს მთავრობის დადგენილება #450 (27.08.2015წ.) ტექნიკური რეგლამენტის - „მაიონებელი გამოსხივების წყაროებთან მოპყრობისადმი რადიაციული უსაფრთხოების ნორმებისა და ძირითადი მოთხოვნების“ დამტკიცების შესახებ) დამტკიცებული ზღვრულად დასაშვები.

3.6. ნარჩენების მართვა

მიუხედავად იმისა, რომ პროექტში წარმოდგენილია ყაზბეგის მუნიციპალიტეტში შემავალი თემების და დაბა სტეფანწმინდის განვითარების კონცეფციების შეფასება, მათთვის გათვალისწინებული საქმიანობების გარემოზე ზემოქმედების სახეების მიხედვით, სასურველია, დეტალური კვლევების ჩატარება მუნიციპალური/საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის შესახებ არსებული მდგომარეობის შეფასებისა და შედეგების გასაანალიზებლად, რათა ახალი განვითარების პრიორიტეტების მიხედვით მიღებულ იქნეს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმა.

მიუხედავად ამჟამად მოქმედი 2018-2023 წწ. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმისა, განვითარების ახალი კონცეფციები მოითხოვს ნარჩენების მართვის ახალი გეგმების შემუშავებას ნარჩენების სავარაუდო ოდენობის წარმოქმნის გათვლებით და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას, საჭიროების შემთხვევაში ნაგავსაყრელის მოწობით და მასზე სახიფათო ნაგავსაყრელისთვის გათვალისწინებული შეზღუდვითი რეჟიმების გავრცელების ჩათვლით. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია დამატებითი კონსულტაციები გაიმართოს ყველა დაინტერესებული უწყების ჩართულობით, განსაკუთრებით ტურისტულ ზონებად მოაზრებულ ტერიტორიებზე დაბა სტეფანწმინდის და მისი მიმდებარე სოფლების დონეზე. აუცილებელია ამ ტერიტორიებზე განთავსებული სანაგვე ურნების მოსაწყობად სისტემური მიდგომის ჩამოყალიბება (მათ შორის, მანძილის და მოცულობის განსაზღვრა ვიზიტორთა რაოდენობის გათვალისწინებით), რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სანიტარიული დასუფთავების მდგომარეობას და შესაბამისად, შექმნის ეკოლოგიურად სუფთა სივრცეებს. გასათვალისწინებელია, ნარჩენების მართვის გეგმის გადახედვა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება არა მხოლოდ დასახლებულ ტერიტორიებზე, არამედ მაგისტრალურ გზებზე განთავსებულ სატვირთო/გადამზიდავი ავტოტრანსპორტისთვის დროებით გასაჩერებელ სადგომებზე, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც მდებარეობს ბენზინგასამართი სადგურები, კვების და სასურსათო ობიექტები.

გასათვალისწინებელია თხევადი და საკანალიზაციო ნარჩენების შესახებ არსებული მდგომარეობის მიმოხილვა და ანალიზი, რათა სწორად და რაციონალურად დაიგეგმოს საკანალიზაციო სისტემის მოწყობა, განსაკუთრებით მჭიდროდ დასახლებულ და ტურისტულ ტერიტორიებზე, რაც საკანალიზაციო სისტემის კეთილმოწყობის და სანიტარიული ნორმების დაცვის საკითხის ქვეშ ექცევა. ასევე, მნიშვნელოვანია სამშენებლო ნარჩენების მართვის გათვალისწინება, რომელიც განვითარების გეგმის კონცეფციის მიხედვით წარმოიქმნება. თავიდან უნდა იქნას აცილებული მდინარის ხეობებში სამშენებლო და სხვა საყოფაცხოვრებო ნარჩენების თვითნებური განთავსება და ახალი ნაგავსაყრელის მოწყობა, რომელიც გათვლილი იქნება როგორც საყოფაცხოვრებო-სამშენებლო ნარჩენების განსათავსებლად, ასევე, სახიფათო ნარჩენებისთვის, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ზემოაღნიშნული მდგომარეობის გათვალისწინებით, განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს და დროულად უნდა შემუშავდეს/ ან აისახოს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების მართვის მუნიციპალური გეგმა ახალი გამოწვევების გათვალისწინებით.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ გენერალურ გეგმაში გათვალისწინებულ იქნას 2016 წელს დამტკიცებული საქართველოს ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიისა (2016-2030) და ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმის (2016-2020 წლებისათვის) მოთხოვნები. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის რესურსების გამოყენების შემცირებისა და არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას რეკომენდაციები მოკლე და საშუალო, და გრძელვადიანი პერიოდებისათვის, კერძოდ, დაიგეგმოს ნარჩენების მართვის, პრევენციასა და რეციკლირებაზე ორიენტირებული აქტივობები და შემუშავდეს შესრულების ინდიკატორები, რაც მიიღწევა:

- ნარჩენების პრევენციის, ხელახალი გამოყენების, რეციკლირებისა და აღდგენის ღონისძიებების გატარებით;
- მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების უზრუნველყოფით სტეფანწმინდის და მიმდებარე ტერიტორიაზე;
- ნარჩენების წარმოქმნის წყაროსთან სეპარირების დანერგვით;
- ხარჯების სრული ამოღების დანერგვით;
- მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების დანერგვით;
- ინიციატივების განხორციელებით სპეციფიკური ნარჩენების ნაკადებზე საჯარო-კერძო პარტნიორობის ჩამოყალიბებით;
- სტრატეგიის მიზნების მისაღწევად საჭირო წამახალისებელი მექანიზმების დანერგვით.

ხოლო შემდეგია რეკომენდაციები გრძელვადიანი აქტივობების დაგეგმვის დროს, რომელმაც ასახვა უნდა ჰპოვოს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის და მასში შემავალი თემების სივრცის დაგეგმარების გენერალურ გეგმაში:

- დაბის (ქალაქის) მარეგულირებელი და დაგეგმვის შესაძლებლობის გაუმჯობესება;
- ნარჩენების გადამუშავების ახალი საწარმოს მშენებლობა;
- ნარჩენების შეგროვების სისტემის მოდერნიზაცია;
- ცნობიერების ამაღლების კამპანიები მოსახლეობისთვის;
- არალეგალური ნაგავსაყრელების აკრძალვა;
- ნაგავსაყრელის გაზის უტილიზაცია ელექტროენერჯის გენერირებისათვის.

4. ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს მიმართ ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

4.1 ფიზიკური აქტივობა, უბედური შემთხვევები და ტრავმები

წარმოდგენილ დოკუმენტში არ არის სრულყოფილად აღწერილი ყაზბეგის მუნიციპალიტეტის და მიმდინარე ტერიტორიის განვითარების ჩარჩოში, როგორ მოხდება ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოზე ტრანსპორტის ზემოქმედების შემცირება.

კარგადაა ცნობილი საავტომობილო ტრანსპორტის ნეგატიური ზეგავლენა (ჰაერი, ნიადაგი, წყლის დაბინძურება, ხმაური, გზებზე უსაფრთხოება და ტრავმები, ინფრასტრუქტურის შეჭრით გამოწვეული სივრცის დანაწევრება და სხვა). დოკუმენტში აგრეთვე, აღწერილია სტეფანწმინდის განვითარების გეგმა, სადაც საუბარია კემპინგის და სპორტული ზონების მოწყობაზე, თუმცა არ გვაქვს ინფორმაცია თუ როგორ მოხდება ტრავმების და უბედური შემთხვევების პრევენცია.

საქართველოში, სხეულის დაზიანება სიკვდილით რიგით მეოთხე მიზეზს წარმოადგენს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უპირატესობა უნდა მივანიჭოთ ეკოლოგიურად უსაფრთხო გადაადგილებას განსაკუთრებით ფეხით სიარულსა და საველოსიპედო მოძრაობას, საზოგადოებრივ ტრანსპორტს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს, ამ საშუალებათა შეხამებას, როგორც დაგეგმვის, ძირითადი ამოცანის სახით განხილვას.

1. გაიზარდოს საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ფეხით და ველოსიპედით გადაადგილების რაოდენობა; (უპირატესობის მინიჭებით უსაფრთხო საცალფეხო და სხვა არამოტორიზებულ მოძრაობის სახეზე).

2. ხელი შეეწყოს კერძო ავტოტრანსპორტის გამოყენების მიმზიდველ ალტერნატივებს.

